

ძირითადი საშუალებების სვეტიის აღრიცხვა

ბუღალტრული აღრიცხვის რეალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია მოხმარებული ძირითადი საშუალებების ღირებულების ყოველწლიური მიკუთვნება საწარმოს ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას მნიშვნელოვანი საკითხია ცვეთისა და ამორტიზაციის აღრიცხვა. ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

მომსახურების ვადის განმავლობაში ძირითად საშუალებებში განივთებულია ეკონომიკური სარგებელი, რომელიც მიიღება მათი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. პერიოდს, რომელშიც ძირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, ეწოდება სასარგებლო მომსახურების ვადა.

ცვეთა დაერიცხება ძირითადი საშუალებების ყველა სახეობას, გარდა მიწის და სხვა არამორტიზირებადი აქტივებისა. იმიტომ, რომ მიწას ჩვეულებრივ, აქვს შეუზღუდავი მომსახურების ვადა, შესაბამისად არ ხდება მისი ცვეთა. სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებები, როგორიცაა: შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სხვა, მათი შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის გამო, ცვეთადი აქტივებია.

ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციით მიღებული ეკონომიკური სარგებელის აღიარებით, რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა იქნეს აღიარებული მათზე გაწეული დანახარჯიც - ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამ მიზანს ემსახურება ცვეთის დარიცხვა, რომელიც არის ცვეთადი აქტივის ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება, ან ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკ-

მუხრან ქამადაძე
სტუ-ს დოქტორანტი

ლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. ე.ი. ნარჩენი ღირებულება ეწოდება თანხას, რომელიც დარჩება საწარმოს აქტივის მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ მისი რეალიზაციიდან ან ლიკვიდაციიდან. აქტივის ნარჩენი ღირებულება ხშირად უმნიშვნელოა და ამდენად, ცვეთადი ღირებულების გაანგარიშებისას არ არის არსებითი.

მაშასადამე, ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხის გასაანგარიშებლად აქტივის თვითღირებულებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

✓ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან

✓ პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები იყოს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და ყერდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას.

საწარმოს მიერ ძირითად საშუალებებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენება აქტივის ექსპლოატაციით ხდება. თუმცა, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა აქტივის გამოყენებლობის პერიოდში ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივის აგან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ამიტომ ბასს-ის შესაბამისად, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასადგენად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი, ესენია:

➤ საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენება, რომელსაც განსაზღვრავს აქტივის სავარაუდო სიმძლავრე ან ფიზიკურად

გამოშვებული პროდუქცია;

➤ სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ცვლების რაოდენობა, სარემონტო სამუშაოების პროგრამა, გამოყენებული აქტივების შენახვისა და დაცვის წესი;

➤ ტექნიკური ან კომერციული მოძველება;

➤ აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს აუცილებლად უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებისაგან, იგი უნდა აისახოს, როგორც ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში, ბასს 8-ის „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ შესაბამისად.

აქტივის ცვეთის დარიცხვა იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება და წყდება მისი გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების დღიდან, ან ამ აქტივის აღიარების შეწყვეტის შემდეგ. ცვეთის დარიცხვა არ წყდება მაშინ, როდესაც აქტივი ხდება გამოყენებული ან აქტიური მოხმარებიდან გამოსულია, სანამ აქტივს სრულად არ დაერიცხება ცვეთა.

ცვეთისა და ამორტიზაციის თანხა აისახება როგორც ხარჯი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი შედის სხვა აქტივის ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმის დადგენის დროს, ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ ძირითადი საშუალება მათი მომსახურების ვადის შემდეგ შეიძლება გაიყიდოს ან მათი ლიკვიდაციიდან შეიძლება ისეთი დეტალების მიღება, რომლებიც გარკვეული შემოსავლის წყაროდ იქცევა. თანხას, რომელიც ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ მისი გაყიდვიდან ან ლიკვიდაციიდან იქნება მიღებული, სალიკვიდაციო ღირებულება ეწოდება. სალიკვიდაციო ღირებულების ზუსტად განსაზღვრა ძნელია. ხშირად ძირითად საშუალებას გამოყენების ძალიან ვიწრო სფერო გააჩნია, შესაბამისად, შეზღუდულია მისი გასაღების ბაზარი. ამიტომ მათი გასაყიდი ღირებულება მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ ჯართის ღირებულების ტოლფასი შეიძლება იყოს. ამგვარად, სარეალიზაციო ფასი დამოკიდებულია არა მარტო ძირითადი საშუალების ტექნიკურ მომსახურებაზე, არამედ გასაღების ბაზარზეც. ძირითადი საშუალების პირვანდელ ღირებულებასა და სალიკვიდაციო ღირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს ცვეთად ღირებულებას. იგი ნორმალურ პირობებში

ში სრული ოდენობით გარდაიქმნება საწარმოს ხარჯად.

ძირითადი საშუალების გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, მისი ცვეთა შეიძლება იყოს:

✓ წარმოების ხარჯი;

✓ გასაღებასთან დაკავშირებული ხარჯი

ან

✓ ძირითადი საშუალების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი.

ნებისმიერ შემთხვევაში ცვეთის დარიცხვა ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულების ხარჯებად გარდაქმნის პროცესია. ცვეთის თანხა ისეთი ხარჯია, რომელიც ფულის მოძრაობასთან არ არის დაკავშირებული. ფული იხარჯება ძირითადი საშუალებების შეძენისას და არა მისი ცვეთის თანხის დარიცხვისას.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გეგმის შესადგენად საჭიროა ცვეთის მეთოდის შერჩევა. აქტივთა გარკვეული ჯგუფისათვის შერჩეული ცვეთის მეთოდი აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული წლების მანძილზე, მუდმივობის პრინციპიდან გამომდინარე. სამეწარმეო თვალსაზრისით, ცვეთის მეთოდების არჩევაში შეზღუდვა არ არსებობს. მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელზე და იგი არ უნდა შეიცვალოს მანამ, სანამ არ შეიცვლება მომავალი ეკონომიკური სარგებლის ხასიათი. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთის თანხის გაანგარიშებისათვის და განაწილებისათვის ბასს-ით რეკომენდირებულია ცვეთის დარიცხვის შემდეგი მეთოდები:

1. წრფივი (თანაბარზომიერი ჩამოწერის)

ცვეთის მეთოდი;

2. შემცირებადი ნაშთის (დაჩქარებული ცვეთის) მეთოდი;

3. წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი.

წრფივი (თანაბარზომიერი ჩამოწერის)

ცვეთის მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იგივე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

შემცირებადი ნაშთის (დაჩქარებული ცვეთის) მეთოდი ითვალისწინებს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში.

წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდის გამოყენება ნიშნავს ცვეთის დარიცხვას აქტივის მოსალოდნელი მომსახურების (წლების ერთეულთა ჯამის) ან წარმოებული პროდუქციის (მწარმოებლურობის პროპორციის) საფუძველზე.

მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ მოდ-

ელზე და იგი მუდმივად უნდა გამოიყენებოდეს მანამ, სანამ არ შეიცვლება მოცემული აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება.

რადგან წრფივი ცვეთის მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხების დარიცხვას აქტივების სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში, ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია და პრაქტიკაში შედარებით უფრო გავრცელებულია იმ აქტივების მიმართ, რომლებსაც მთელი მომსახურების ვადის განმავლობაში მეტ-ნაკლებად თანაბრად მოაქვთ საწარმოსთვის ეკონომიკური სარგებელი. წრფივი ცვეთის მეთოდის გამოყენების დროს გაანგარიშების ბაზას აქტივის პირვანდელი ღირებულება წარმოადგენს, ხოლო ცვეთის წლიური ნორმა (წლიური ამორტიზაციის თანხა) გაიანგარიშება და განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთის ნორმა} = \frac{\text{თვითღირებულებს - ნარჩენი ღირებულება}}{\text{აქტივის მწარმოებლურობა მთელი მომსახურების ვადის განმავლობაში}}$$

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი ღირებულება არ განისაზღვრება, წლიური ცვეთა გაიანგარიშება ობიექტის პირვანდელი ღირებულების გაყოფით სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

შემცირებადი ნაშთის მეთოდი – ცვეთისა და ამორტიზაციის თანხის გაანგარიშება შემცირებადი ნაშთის ანუ ცვეთის დაჩქარებული მეთოდით გულისხმობს ცვეთის თანხის გაანგარიშებას საპროცენტო განაკვეთით.

ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის პირველ წელს ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივის პირვანდელი ღირებულებიდან, შემდგომ წლებში კი წმინდა საბალანსო (ნარჩენი) ღირებულებიდან, რომელიც წარმოადგენს სხვაობას აქტივის პირვანდელ ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის თანხას შორის. ამის გამო ამორტიზაციის ანარიცხები ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პირველ წლებში, შემდგომ წლებთან შედარებით მაღალია.

ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდთან შედარებით, აქტივის ღირებულების სრულად ამორტიზებისათვის საგრძნობლად ხანგრძლივი პერიოდია საჭირო, ან იმავე პერიოდში – ცვეთის მაღალი ნორმაა აუცილებელი. ამიტომ შემცირებადი ნაშთის მეთოდით ცვეთის დარიცხვა მიზანშეწონილია ისეთი აქტივების მიმართ, რომლებიც ექსპლუატაციის პირველ წლებში კარგავენ თავიანთი ღირებულების დიდ ნაწილს ან მათ ექსპლუატაციასა და შენახვაზე მნიშვნელოვნად ნაკლები ხარჯებია საჭირო, მომდევნო წლებთან შედარებით.

ჩვეულებრივ ცვეთა განიხილება, როგორც წლების მიხედვით ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილება და არა, როგორც ამ საშუალებების შეფასება. ეს წესი ითვლება შესრულებული სამუშაოს მოცულობის (მწარმოებლურობის) პროპორციულად ცვეთის გაანგარიშების მეთოდად.

წლების ერთეულთა ჯამის მეთოდი – ეს მეთოდი წარმოადგენს შემცირებადი ჯამის მეთოდის ნაირსახეობას, რადგან ამ მეთოდის მიზანია აქტივების მომსახურების პირველ წლებში ცვეთის მეტი თანხის დარიცხვა, ვიდრე შემდგომ წლებში.

ამ მეთოდის გამოყენებისას ცვეთის წლიური ნორმის ნაცვლად აიღება აქტივის სასარგებლო მომსახურების წლების ციფრების ჯამი ან წარმადობის (მწარმოებლურობის) მაჩვენებელი. როდესაც ცვეთის დარიცხვას საფუძვლად უდევს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ცვეთის დარიცხვის მეთოდს უწოდებენ „წლების ერთეულთა ჯამის მეთოდს“.

წლების ერთეულთა ჯამის ცვეთის გამოყენების დროს ცვეთის ნორმა დგინდება შემდეგი ფორმულით:

$$k = n(n+1)/2,$$

სადაც: k – წლების ჯამია; n – მომსახურების დრო.

წლიური ცვეთის თანხა = $PC \cdot L / K$, სადაც:

PC – ცვეთადი ღირებულება (თვითღირებულება – ნარჩენი ღირებულება); L – სასარგებლო მომსახურების დარჩენილი წლები.

წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდის გამოყენება ნიშნავს ცვეთის დარიცხვას, აქტივების მოსალოდნელი გამოყენების ან წარმოებული პროდუქციის საფუძველზე. იგი გულისხმობს ამორტიზაციის გაანგარიშებას ძირითადი საშუალებების წარმადობის და არა სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით, რაც განპირობებულია იმით, რომ ცვეთა დაკავშირებულია

ბულია ძირითადი საშუალების ექსპლოატაციის ხარისხთან და დროის მონაკვეთები არავითარ განსაკუთრებით როლს არ თამაშობენ მის განსაზღვრაში.

როდესაც ცვეთის დარიცხვას საფუძვლად უდევს აქტივის მწარმოებლურობის მაჩვენებელი, მაშინ ცვეთის დარიცხვის მეთოდს ეწოდება მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდი. მწარმოებლურობის პროპორციულობის ცვეთის მეთოდი ეყრდნობა პრინციპს, რაც უფრო მეტია აქტივის გამომუშავება, მწარმოებლურობა, მით უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს ვღებულობთ მისგან და შესაბამისად, მეტი ცვეთა უნდა იქნეს დარიცხული. მწარმოებლურობის პროპორციულობის ცვეთის მეთოდის გამოყენების დროს ცვეთის ნორმა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით

$$\text{ცვეთის წლიური ნორმა} = \frac{\text{თვითღირებულება - ნარჩენი ღირებულება}}{\text{მომსახურების დრო}}$$

ეს სიდიდე გვიჩვენებს ძირითადი საშუალების თუ რა ნაწილი იხარჯება, ცვდება მწარმოებლურობის ერთ ერთეულზე. მწარმოებლურობა შეიძლება გაიზომოს დროით, პროდუქციით ან სხვა მაჩვენებლით.

საწარმომ ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების დროს უნდა განისაზღვროს ამ ერთეულის შემადგენელი ნაწილები და ერთეულის მთლიან ღირებულებაში მოცულობის შესაბამისად დაყოს ის მნიშვნელოვან (არსებით) და უმნიშვნელო ნაწილებად. ძირითადი საშუალების ყველა ერთეულს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ძირითადი საშუალების მთლიან ღირებულებაში, ცვეთა ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე დაერიცხება.

განცალკევებული კომპონენტები - რთული ისეთი აქტივია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს განცალკევებული ელემენტებისაგან შემდგარ ერთ დამოუკიდებელ აქტივად, მაგ., თვითმფრინავი და მისი ძრავი.

ტექდათვალიერებისა და კაპიტალური რემონტის დანახარჯები-საზოგადოდ, გაწევისთანავე ხარჯებად აღიარდება. თუმცა, თუ აქტივი ბასს 16-ით განსაზღვრულ განცალკევების წესებს აკმაყოფილებს, მაშინ განხორციელდება ამ დანახარჯების, როგორც გრძელვადიანი აქტივის, კაპიტალიზაცია.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კაპიტალური რემონტის დანახარჯები - თვითმფრინავის თვითღირებულება შეადგენს 1.5 მლნ-ს, ხოლო მისი სასარგებლო მომსახურების ვადა – 10 წელს. კანონმდებლობით მოითხოვება, რომ თვითმფრინავის რემონტი ჩატარდეს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. კაპიტალური რემონტის დანახარჯები შეფასებულია 150 000 ლარად. როგორ უნდა აისხოს ბუღალტრულ ანგარიშებში კაპიტალური რემონტის დანახარჯი?

რემონტის დანახარჯებს, 150 000-ს, ცვეთა ცალკე დაერიცხება თვითმფრინავისაგან დამოუკიდებლად. ასე, რომ ყოველ წელს დაირიცხება 50 000 ცვეთა, მომდევნო კაპიტალურ რემონტამდე. როდესაც რემონტის დანახარჯები უკვე გაწეული იქნება, ყოველი სამი წლის ბოლოს განხორციელდება ამ დანახარჯების კაპიტალიზაცია და ცვეთა დაერიცხება სამი წლის მანძილზე მომდევნო კაპიტალური რემონტის ჩატარებამდე. ნაშთს 1 350 000 –ს ცვეთა დაერიცხება 10 წლის მანძილზე. წლიურად დასარიცხი ცვეთა იქნება 135 000 ლარი (135 000 ლარი, დაკავშირებულია თვითმფრინავთან და 50 000 ლარი – კაპიტალური რემონტის დანახარჯებთან).

აქტივის ცვეთის დარიცხვა იწყება მისი გამოყენებიდან ან გამოსაყენებლად მომზადებული პერიოდიდან მისი აღიარების შეწყვეტამდე, როცა ის მომზადებულია გასაყიდად ან ჩამოსაწერად. ბასს-ი იძლევა ცვეთის დარიცხვის უფლებას იმ აქტივებზე, რომლებიც არ ფუნქციონირებენ, მაგრამ არ არიან გასაყიდად ან ჩამოსაწერად გამიზნულნი. ეს არის დარიცხვა ფლობისათვის.

1. ელენე ხარაბაძე. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი, 2009.
2. „ფინანსური აღრიცხვა“ მეორე დონე. ნ. კვატაშიძე, ა. ხორავა, ზ. გოგრიჭიანი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009 წ.
3. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. თბილისი, 2008.
4. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.
5. ACCA F3. ფინანსური ანგარიშგება. ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. ფინანსური ანგარიშგება. ბაფ, თბ., 2009.
6. ACCA F7. ფინანსური ანგარიშგება. ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. ფინანსური ანგარიშგება. ბაფ, თბ., 2009.
7. მ. ჯიქია, რ. ჩეხელაშვილი, ფ. ბურდული. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი, 2010.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
9. ედუარდ ცირამუა, მეურნეობრივი და ფინანსური საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი.
10. BAETGE KIRSCH THIELE - BILANZEN (8, wesentlich uberarbeitete Auflage studienausgabe) Dusseldorf 2005-2009.
11. Karlheinz Kuting, claus-peter Weber – DIE BILANZANALYSE (lehrbuch zur beurteilung von einzel – und konzernabschussen 7 Auflage) Stuttgart 2004-2008.

ACCOUNTING OF FIXED ASSETS

MUKHRAN QAMADADZE
PhD of GTU

With recognition of economic gain from exploitation of fixed assets, the capital expenditures – the amount paid for fixed asset, should also be acknowledged according to principle of realization and conformity. This principle is followed by charging depreciation on asset- that is systematic allocation of cost in the period of its usage.

In general, depreciation expense is charged since the day when asset is placed in service and terminates when asset is put on a sale or since being recognized as an asset. Charging depreciation expense on asset is not terminated when useful life of property plant and equipment is expired or it is out of the active usage, but when it's fully depreciated.

Depreciation stops being charged until book value of asset becomes equal to salvage value and depreciable value is zero. But it's not necessary to take into consideration the salvage value, while calculating the depreciable value of an asset.

In general depreciation is considered as a cost of fixed asset allocated, as a depreciation expense, among the periods in which the asset is expected to be used.

Depreciation stops when book value is equal to the scrap value of the asset. In the end, the sum of accumulated depreciation and scrap value equals the original cost.

In general, depreciation is not considered as the valuation of the asset but as a cost allocated among the periods in which the asset is expected to be used. This rule is considered as a method of calculating activity-based depreciation expense.